პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნიზმის სხივი

1990 8 თებერვალი ხუთშაბათი №17 (6244) ფასი 3 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райкома КП Грузии и райсовета народных депутатов

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გეგმა — გადაჭარბებით

მიცემული დავალების შესრულებისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაებნენ ჩხუტელის კოლმეურნეობის მშრომელები. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იანვრის თვეში სახელმწიფოს დაუმზადეს 30,4 ცენტნერი რძე, როცა კვარტალის გეგმა 70 ცენტნერს ითვალისწინებს. ამით შექმნეს საიმედო პირობა რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის კვარტალის გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

5 თებერვალს კრემლში მუშაობას შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. განიხილავენ პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტს.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა.**

დღის პირველ ნახევარში მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ **ა. ი. კორნიენკო** — უკრაინის კომპარტიის კიევის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ვ. კ. მესიაცი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ი. ა. კარიმოვი** — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **გ. ა. იაგოდინი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე; **ი. პ. არხიპოვი** — საწარმოო გაერთიანება „იჟორის ქარხნის" პარტკომის მდივანი, ლენინგრადი; **ი. ა. პროკოფიევი** — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ტ. გ. ივანოვა** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე; **ე. ე. სოკოლოვი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; კ. გ. ფესენკო — საწარმოო გაერთიანება „არტემქვანახშირის" შახტის „კოჩეგარკას" ამფეთქებელი ოსტატი, დონეცკის ოლქი; **ი. ი. ვაგრისი** — სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ბ. ნ. ელცინი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე; **ა. ს. ძასოხოვი** — სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; **გ. ი. რევენკო** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის კომპარტიის კიევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

(საქინფორმ).

## დასახელდნენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **დავით იაკობის ძე სვანიძე**, დაბადებული 1934 წელს, უმაღლესი განათლებით, სკკპ წევრი, ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს შრომითმა კოლექტივმა წამოაყენა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქში.

* * *

ცაგერის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე **ონერ შალვას ძე ნემსწვერიძე**, დაბადებული 1948 წელს, უმაღლესი განათლებით, სკკპ წევრი, საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს პლენუმმა წამოაყენა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქში.

## მადლობის მეტი რა გვეთქმის

ყველასათვის კარგად ცნობილია, რომ წითელი ჯვარი იყო, არის და იქნება ადამიანზე მზრუნველი, ხალხისათვის სამსახურით გარემოსილი. ასე იყო ომის წლებში, ასეა ჭირ-ვარამით აღსავსე დღევანდელობის ჟამსაც. დღეს, როცა ასე უჭირს საქართველოს, ბუნებამაც აღარ დაგვინდო, აღნიშნული საზოგადოება ეძებს გზებს და საშუალებებს, რომ სტიქიისაგან დაზარალებულ ადამიანებს დაეხმაროს, დარდი შეუმსუბუქოს.

1987 წელს თავს დატეხილი სტიქიური უბედურების დროს, როცა ბუნებამ არნახულ განსაცდელში ჩააგდო რაიონის სოფლების—ლუხვანოს, წილამიერის და ჩხუტელის მცხოვრებთა უმრავლესობა, გარდა ამისა თითო-ოროლა დაზარალებული ოჯახი თითქმის ყველა სოფელში იყო, წითელი ჯვრის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დახმარების მიზნით წითელი ჯვრის რაიონულ ორგანიზაციას 22 ათასი მანეთი გადმოურიცხა, რაც დაზარალებულ ოჯახებზე განაწილდა.

არც წელს დაგვინდო სტიქიამ, მრავალი ოჯახი მოჰყვა მეწყრულ ზონაში, რაიონის 57 სოფლიდან 41 სოფელში მეწყრული მოვლენები აღინიშნება. არც წელს დარჩნენ რაიონის დაზარალებული ოჯახები უმეთვალყუროდ.

3 თებერვალს წითელი ჯვრის რესპუბლიკური კომიტეტიდან გამოგზავნილი სასურსათო პროდუქტებით დატვირთული ავტომანქანები ჩამოვიდნენ და 11 ათასი მანეთის ღირებულების კარტოფილი, კომბოსტო, ხახვი და ნიორი ჩამოტანეს იმ ოჯახებზე გადასაცემად, რომლებიც წლევანდელი სტიქიისაგან დაზარალდნენ.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შეიტყო რა, რომ ცაგერში სტიქიამ კვლავ შეახსენა თავი ადამიანებს, ქალაქ თბილისში მცხოვრებმა ჩვენი კუთხის შვილმა რაფიელ იასონის ძე ლიპარტელიანმა წითელი ჯვრის ფონდში დაზარალებულთა დახმარების მიზნით 150 მანეთი გადარიცხა.

რაიონის დაზარალებული ოჯახების, ყველა მშრომელის სახელით მინდა მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც გაჭირვების ჟამს რაიონის მშრომელთა მიმართ ასეთი ყურადღება და თანადგომა გამოიჩინა.

**ი. ყურაშვილი,**
წითელი ჯვრის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

## გაზაფხულს—მომზადებული შეხვედრა

## ტექნიკა მზადყოფნაშია

ზამთრის უკანასკნელი თვე მზიანი დღეებით დაიწყო, რაც მომასწავლებელია იმისა, რომ კარს მომდგარ გაზაფხულს მომზადებული შეხვედრა უნდა. რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში სრული საშუალებაა იმისა, რომ საგაზაფხულო-მოსამზადებელი სამუშაოები ნორმალურად წარიმართოს.

ორბელის კოლმეურნეობაში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ გაზაფხულს პირველ რიგში მოუმზადონ ტექნიკა, მაღალკონდიციური თესლი.

კოლმეურნეობის მოიჯარეებმა მიმდინარე წელს მარცვლეული კულტურები 70 ჰექტარზე უნდა დათესონ. რისთვისაც პირველ რიგში ტრაქტორების მზადყოფნისათვის ვიზრუნეთ. ნუგზარ კვენეტაძე, დადაში სილაგაძე და შოთა ბურჯალიანი გამოცდილი მექანიზატორები არიან და თვითონ, საკუთარი ძალებითა და შესაძლებლობებით გაარემონტეს ტრაქტორები და დღეისათვის მზადყოფნაშია სამივე სახნავი ტრაქტორი, ახლა გვჭირდება სათადარიგო ნაწილები, რომ მუშაობის დაწყებისას მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მზად ვიყოთ და დრო არ დაიკარგოს.

ამასთან გაზაფხულისათვის გამოყოფილი გვაქვს 35 ცენტნერი სიმინდისა და 10 ცენტნერი ლობიოს სათესლე მასალა.

**ი. ნემსწვერიძე.**

## წელს მეტი მონდომებით

მეაბრეშუმეობას ბავშვობიდანვე დავეუფლე, არც ერთი წელი არ მახსოვს, რომ აბრეშუმის ჭია არ გამომეკვებოს და აბრეშუმის პარკის წარმოების საქმეში ჩემი წვლილი არ შემეტანოს. სიმართლე გითხრათ, სიამოვნებასაც მგვრიდა და მგვრის მისი მოვლა და გამოკვება. უკანასკნელი სამი წლის მონაცემებით სულ 154 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მაქვს ჩაბარებული. განსაკუთრებით ნაყოფიერი კი ჩემთვის გასული წელი იყო, როცა გამოყვანილი მურისაგან გეგმით 47,5 კილოგრამი აბრეშუმის პარკი უნდა ჩამებარებინა, ფაქტიურად კი 113,3 კილოგრამი ჩავაბარე.

წელს, გავეცანი რა ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილს—მეაბრეშუმეობა: ვიცოდეთ მისი ფასი—გზა ეკონომიკური გაჯანსაღებისაკენ — გავიგე, ქართულ აბრეშუმს რაოდენ დიდი ღირსება ჰქონია საერთაშორისო ბაზარზე, „თეთრ ოქროს", რასაც ჩვენ აქამდე პირობით ვეძახდით, მართლაც ოქროს ფასი აქვს და მიუხედავად იმისა, რომ აწ უკვე პენსიონერი ვარ, გადაწყვეტილი მაქვს მიმდინარე წელს მოსავლელად არანაკლები 50 გრამი აბრეშუმის მური მაინც გავიყვანო და თუ მეტი არა, 130 კილოგრამი ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი ჩავაბარო დამამზადებელ პუნქტს. ამით ოჯახურ ბიუჯეტსაც განვამტკიცებ და ჩემს წვლილს შევიტან იმ ზეგეგმითი პროდუქციის წარმოებაში, რომლის ხარჯზეც საერთაშორისო ბაზარზე ქართული აბრეშუმის სავალუტო გაცვლა უნდა მოხდეს.

**თამარ გოგიძე,**
ცაგერის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის

# გადაწყვეტილება

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომმა

გადაწყვიტა:

„საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე შეიქმნას საუბნო საარჩევნო კომისიები რაიონის შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

### ორხვის საარჩევნო უბანი №1

**ახვლედიანი როსტომ ბიქტორის ძე** — კოლმეურნე, ტვიშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ბანძელაძე დიმიტრი სანდროს ძე** — კოლმეურნე, ტვიშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**გაბიძაშვილი გრიშა პლატონის ძე** — კოლმეურნე, ტვიშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**კენჭაძე დარეჯან ბუდუს ასული** — ორხვის მაღაზიის გამგე-გამყიდველი, ტვიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**მახარობლიძე ლეილა აკაკის ასული** — ორხვის ბიბლიოთეკის გამგე, ტვიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ქვარიანი მექი კლიმენტის ძე** — კოლმეურნე, ტვიშის კოლმეურნეობის №4 საბრიგადო პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ქვარიანი გულნაზი ალექსანდრეს ასული** — ორხვის სასოფლო კლუბის გამგე, ტვიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

### ტვიშის საარჩევნო უბანი №2

**ასათიანი გიორგი ეტიფანეს ძე** — აგრონომი, ტვიშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ასათიანი ნელი სამსონის ასული** — ტვიშის ბიბლიოთეკის გამგე, ტვიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ასათიანი ხათუნა ვარლამის ასული** — კოლმეურნე, ტვიშის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციისაგან.

**გოლეთიანი დავით ზურაბის ძე** — კოლმეურნე, ტვიშის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ლომთაძე როლანდ რამინის ძე** — კოლმეურნე, ტვიშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**მოწონელიძე აკაკი ევგენის ძე** — ტვიშის ღვინის ქარხნის ტექნოლოგი, ტვიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**სვანიძე დავით ზურაბის ძე** — კოლმეურნე, ტვიშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ჩაკვეტაძე ნინა ლევანის ასული** — კოლმეურნე, ტვიშის კოლმეურნეობის ალკკ ორგანიზაციისაგან.

**მიქაუტაძე იური მიხეილის ძე** — ტვიშის პურსაცხობის გამგე, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

### ალპანის საარჩევნო უბანი №3

**გოლოძე თინა ვანოს ასული** — კავშირგაბმულობის ალპანის განყოფილების უფროსი, ალპანის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**მეგრელი მარინე ვახტანგის ასული** — კოლმეურნე, ალპანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**მუკვანი მერაბ კიროსის ძე** — ლაჯანურჰესის უფროსი, ლაჯანურჰესის საწარმოო ორგანიზაციისაგან.

**ურთმელიძე ციცინო გივის ასული** — კავშირგაბმულობის ალპანის განყოფილების ოპერატორი, ალპანის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ფრუიძე მამუკა კანდიტის ძე** — ლაჯანურჰესის მორიგე ინჟინერი, ლაჯანურჰესის საწარმოო ორგანიზაციისაგან.

**ფრუიძე ბადრი რადიშას ძე** — ალპანის სამკერვალო საწარმოს უფროსი, ალპანის სამკერვალო საწარმოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ფრუიძე ზაურ ნოეს ძე** — კოლმეურნე, ალპანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ჯანაძე მზია ანზორის ასული** — ალპანის ბიბლიოთეკის გამგე, ალპანის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ჩორგოლიანი დარეჯან ალიოშას ასული** — ალპანის საშუალო სკოლის მასწავლებელი, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

### ზოგიშის საარჩევნო უბანი №4

**ახვლედიანი გიორგი ანტონის ძე** — კოლმეურნე, ალპანის კოლმეურნეობის ზოგიშის აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

**ასათიანი ბეჟან გურგენის ძე** — კოლმეურნე, ალპანის კოლმეურნეობის ზოგიშის აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

**გოქაძე ელისო შოთას ასული** — მასწავლებელი, ზოგიშის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

**გოქაძე იური ტრიფონის ძე** — კოლმეურნე, ალპანის კოლმეურნეობის ზოგიშის აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

**მამარდაშვილი ლია თენგიზის ასული** — სოფელ ცაგერას ბიბლიოთეკის გამგე, ალპანის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ხვადაგიანი მედიკო ალექსანდრეს ასული** — ზოგიშის სასოფლო კლუბის გამგე, ალპანის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ხვადაგიანი რეზო პლატონის ძე** — კოლმეურნე, ალპანის კოლმეურნეობის ზოგიშის აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

**ხვადაგიანი გიორგი ლავრენტის ძე** — მასწავლებელი, ზოგიშის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

**ხვადაგიანი გოგი რეზოს ძე** — კოლმეურნე, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

### საირმის საარჩევნო უბანი №5

**ალავიძე დუტუ ივანეს ძე** — კოლმეურნე, ალპანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**გუგავა ნელი თეოფანეს ასული** — საირმის ბიბლიოთეკის გამგე, ალპანის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**სილაგაძე რეზო მიხეილის ძე** — საირმის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, ალპანის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**სანიკიძე მაია იაშას ასული** — მოანგარიშე, ალპანის სავაჭრო დარგობრივი გაერთიანების მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ჭოხონელიძე გურამ სევარიონის ძე** — კოლმეურნე, ალპანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ცხვედიანი ვლადიმერ ვასილის ძე** — საირმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგი, საირმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

**ხუციძე მილორდ შალვას ძე** — კოლმეურნე, ალპანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

### სურმუშის საარჩევნო უბანი №6

**ბაკურაძე ჯონდო ჯამბულს ძე** — არქიტექტურის და მშენებლობის განყოფილების ტექნიკოსი, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

**კობერიძე ჯუსტან შალვას ძე** — კოლმეურნე, ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ობოლაძე თინა თომას ასული** — პენსიონერი, ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**სილაგაძე ლია თედორეს ასული** — სურმუშის სასოფლო კლუბის გამგე, ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ჩარკვიანი ისკანდერ კოსტას ძე** — კოლმეურნე, ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ჩარკვიანი ქეთევან ისკანდერის ასული** — სურმუშის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ხუბუკელაშვილი ჟინვერ კოწიას ასული** — სურმუშის საფერშლო-სამეანო პუნქტის გამგე, ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

### თაბორის საარჩევნო უბანი №7

**კოპალიანი მთვარისა ამბროსის ასული** — ლაილაშის სასოფლო კლუბის გამგე, ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ქარსელაძე ნანი აქსენტის ასული** — თაბორის არასრული საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი, ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ქარსელაძე რამინ ბიქტორის ძე** — მასწავლებელი, ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ქარსელაძე ანთიმოზ ზურაბის ძე** — კოლმეურნე, ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ქარსელაძე ავთანდილ კოსტას ძე** — ვეტფერშალი, ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ხუბუკელაშვილი ჯიმშერ გრიგოლის ძე** — ლაილაშის კოლმეურნეობის აგრონომი, ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ჯანაძე ნუკრი ნოდარის ძე** — ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების საქონელმცოდნე, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

### ლაილაშის საარჩევნო უბანი №8

**ახვლედიანი მალხაზ ჭიჭიკოს ძე** — კავშირგაბმულობის ლაილაშის განყოფილების მონტიორი, ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ბურჯალიანი ნელი ბიქტორის ასული** — ლაილაშის სასოფლო საბჭოს ბუღალტერი, ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**თვარაძე ალექსანდრე გიგლას ძე** — კოლმეურნე, ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**თვარაძე რიტა მალაქის ასული** — ლაილაშის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე, ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**მოწონელიძე შოთა შალვას ძე** — ბუღალტერი, ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ჩარხიანი ლია გურგენის ასული** — კოლმეურნე, ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ჩარხიანი ჟანა ჯემალის ასული** — კოლმეურნე, ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ჩარხიანი იზო ვლასის ასული** — მასწავლებელი, ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ჩარხიანი დათო ჟორჟის ძე** — ლაჯანურჰესის ინჟინერი, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

**ფალავანდიშვილი მარინე დადაშის ასული** — ლაილაშის საბავშვო ბაღის გამგე, ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ხვადაგიანი ია ლეონტის ასული** — მედდა, ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

### ლაჯანის საარჩევნო უბანი №9

**გურასაშვილი იზა გრიშას ასული** — კოლმეურნე, ლაჯანის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**დავითულიანი ლამზირა ვალოდიას ასული** — კოლმეურნე, ლაჯანის კოლმეურნეობის ალკკ ორგანიზაციისაგან.

**კვენეტაძე ოთარ გრიგოლის ძე** — ალპანის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

**ლეშკაშელი ნესტორ არსენის ძე** — კოლმეურნე, ლაჯანის კოლმეურნეობის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

**მახარობლიძე ამირან მიხეილის ძე** — ლაჯანის სავადმყოფოს სამნეო ნაწილის გამგე, ლაჯანის სავადმყოფოს შრომითი კოლექტივისაგან.

**მახარობლიძე ნორა აქვსენტის ასული** — კოლმეურნე, ლაჯანის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**მახარობლიძე დარეჯან რუბენის ასული** — კოლმეურნე, ლაჯანის კოლმეურნეობის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

**ჩარხიანი დავით არსენის ძე** — კოლმეურნე, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ხვადაგიანი ვლადიმერ პავლეს ძე** — აგრონომი, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ

### ლაცორიის საარჩევნო უბანი №10

**ახვლედიანი ლელა გელას ასული** — ლაცორიის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე, ლაცორიის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

**გოგებაშვილი ფერიდა გურამის ასული** — ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, ლაჯანის კოლმეურნეობის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციისაგან.

**თოთაძე მურმან ნიკოლოზის ძე** — რაიონის და რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებელი, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

**ლეშკაშელი ნესტორ იოსების ძე** — კოლმეურნე, ლაჯანის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ნემსწვერიძე როლანდ შოთას ძე** — კოლმეურნე, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**სილაგაძე ამბერკი მალაქის ძე** — კოლმეურნე, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**შეკიშვილი ვიოლეტა გრიგოლის ასული** — ლაცორიის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე, ორბელის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

### უსახელოს საარჩევნო უბანი №11

**გუგავა მერი გრიგოლის ასული** — უსახელოს სასოფლო კლუბის გამგე, უსახელოს სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**გუგავა ნათელა ბეგიას ასული** — უსახელოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უსახელოს სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**გოლეთიანი რეზო გიორგის ძე** — ლაჯანის კოლმეურნეობის უსახელოს უბნის უფროსი, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**მუკბანიანი გიზო სამსონის ძე** — ლაჯანურჰესის ინჟინერი, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

**თვარაძე რომან გრიგოლის ძე** — კოლმეურნე, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**უჩაძე არქიბო იოსების ძე** — კოლმეურნე, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ურთმელიძე ზურაბ ინდიკოს ძე** — კოლმეურნე, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

### ორბელის საარჩევნო უბანი №12

**ბურჯალიანი ბიჭიკო ესტატეს ძე** — კოლმეურნე, ორბელის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ბურჯალიანი ნარგიზა სევარიონის ასული** — კავშირგაბმულობის ორბელის განყოფილების მუშა, ორბელის ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**გზობავა გურამ დომენტის ძე** — კოლმეურნეობის აგრონომი, ორბელის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**გვიშიანი ვაჟა გივის ძე** — კოლმეურნე, ორბელის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**გვიშიანი გულნარა შამშეს ასული** — ორბელის სასოფლო საბჭოს საქმეთა მწარმოებელი, ორბელის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**გელოვანი ნაიბი ვალიკოს ძე** — მასწავლებელი, ორბელის საშუალო სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

**გვიშიანი სოფიკო აკაკის ასული** — რაიონის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილების ინჟინერი, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

**ლეშკაშელი ია გერონტის ასული** — ორბელის საშუალო სკოლის აღმზრდელი, ორბელის საშუალო სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

**ლეშკაშელი ლილი გრიგოლის ასული** — ბიბლიოთეკის გამგე, ორბელის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**მეგრელი ლალი ჯიმშერის ასული** — კოლმეურნე, ორბელის კოლმეურნეობის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

**კვენეტაძე ჭიჭიკო ზაქარიას ძე** — კოლმეურნე, ორბელის კოლმეურნეობის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

**კვენეტაძე ლეილა სამსონის ასული** — კურორტ „ლაშიჭალის" ბუღალტერი, ორბელის ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**სვანიძე გალაქტიონ ალექსანდრეს ძე** — კოლმეურნე, ორბელის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ჩარხიანი თამარ გალაქტიონის ასული** — მასწავლებელი, რუსთაველის საზოგადოების ორბელის საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

**ხუბუკელაშვილი ავდიდო არსენის ძე** — კოლმეურნე, ორბელის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

### წილამიერის საარჩევნო უბანი №13

**ბურჯალიანი ნიურა ამბროსის ასული** — სოფელ წილამიერის ბიბლიოთეკის გამგე, ორბელის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ბურჯალიანი ჯონი ვალიკოს ძე** — ორბელის საშუალო სკოლის მასწავლებელი, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

**ლარცულიანი თინა კონსტანტინეს ასული** — კოლმეურნე, ორბელის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ნემსწვერიძე ნანული თედორეს ასული** — წილამიერის სასოფლო კლუბის გამგე, ორბელის ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ყიფიანი ვარდენ ალექსანდრეს ძე** — კოლმეურნე, ორბელის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

### ღვირიშის საარჩევნო უბანი №14

**ახვლედიანი მერი ალექსანდრეს ასული** — სასოფლო კლუბის გამგე, ღვირიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**გიორგობიანი იზა ჯიბილოს ასული** — ღვირიშის სკოლის პიონერხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

**ირემაძე ციცინო პიმენის ასული** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ტყაბლაძე გურამ სიმონის ძე** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ტყაბლაძე თამილა ჯიმშერის ასული** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციისაგან.

**ჩხეტიანი აკაკი მაქსიმეს ძე** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ჩხეტიანი ონისე გურამის ძე** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის ალკკ ორგანიზაციისაგან.

**ხეცურიანი გულვერ შალვას ძე** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციისაგან.

**ხეცურიანი ბესიკი აკაკის ძე** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

### უცხერის საარჩევნო უბანი №15

**ახვლედიანი ემზარ ენუქის ძე** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ნემსწვერიძე ნაილი მიხეილის ასული** — მედდა, ღვირიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ნემსწვერიძე რაფიელ იაკინთეს ძე** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ნემსწვერიძე ნაზი ინდიკოს ასული** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ნემსწვერიძე ლიუ ვასილის ასული** — მედდა, ღვირიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ნემსწვერიძე გივი ნიკიფორეს ძე** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ტვილდიანი გურამ ამბროსის ძე** — ღვირიშის კოლმეურნეობის ეკონომისტი, ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

### ნასპერის საარჩევნო უბანი №16

**ახვლედიანი რაფიელ დიმიტრის ძე** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ახვლედიანი ვენერა ვლადიმერის ასული** — ნასპერის საფერშლო-საბებიო პუნქტის სანიტარი, ღვირიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ვაჩაძე ამირან გრიგოლის ძე** — კოლმეურნე, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

**მურცხვალაძე ჟორა სამსონის ძე** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**სვანიძე დისიონი ალექსანდრეს ძე** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ხვადაგიანი ბორის ვლადიმერის ძე** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ხვადაგიანი ნინო გურგენის ასული** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციისაგან.

**ფუტკარაძე ტატიანა კაპიტოს ასული** — ნასპერის სასოფლო კლუბის გამგე, ღვირიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ფრუიძე დალი შარდენის ასული** — პიონერხელმძღვანელი, ღვირიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

### ნაკურალეშის საარჩევნო უბანი №17

**გოლეთიანი აბესალომ სარდიონის ძე** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის ნაკურალეშის აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

**გოლეთიანი დალი ოთარის ასული** — კავშირგაბმულობის ნაკურალეშის განყოფილების დამტარებელი, ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**სვანიძე გივი ვასილის ძე** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის ნაკურალეშის აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

**ყურაშვილი ბუჭუ იროდის ძე** — ნაკურალეშის მაღაზიის გამგე, ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ყურაშვილი ელისო შალვას ასული** — ნაკურალეშის საექიმო უბნის მედდა, ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ყურაშვილი შალვა გრამიტონის ძე** — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის ნაკურალეშის აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

**ჩიქოვანი თინა თადეოზის ასული** — ბუღალტერი, ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

### ალვის საარჩევნო უბანი №18

**არჩვაძე ფოთოლა რუბენის ასული** — მედდა, ალვის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ახვლედიანი ლეო ვალიკოს ძე** — ალვის სასოფლო საბჭოს მოლარე-მოანგარიშე, ალვის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ახვლედიანი გივი რამინის ძე** — კოლმეურნე, ლასურიაშის კოლმეურნეობის ალვის აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

**ბობოხიძე ნანი სანდროს ასული** — კოლმეურნე, ლასურიაშის კოლმეურნეობის ალვის აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

**ირემაძე ნაზი გიორგის ასული** — ალვის სასოფლო კლუბის გამგე, ალვის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ყურაშვილი შოთა დომენტის ძე** — ალვის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, რუსთაველის საზოგადოების ალვის არასრული საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

**ჩხეტიანი ბონდო აკაკის ძე** — ალვის აგროუბნის უფროსი, ლასურიაშის კოლმეურნეობის ალვის აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

**ჩხეტიანი ფატი ბორისის ასული** — ალვის აგროუბნის კოლმეურნე, ალვის აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

**ჯიაძე გიორგი ვალიკოს ძე** — საშენ მასალათა სამეურნეობათშორისო საწარმოს ქვის სახერხი საამქროს უფროსი, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

(დასასრული მორიგ ნომერში).

# ცრემლები

## ჩანახატი

ცა მოწმენდილა, შავი ღრუბლები სადღაც დაკარგულან, ქულა რაა, პატარა თეთრი ქულაც კი აღარ ჩანს ლაჟვარდოვან ცაზე.

დილაა, მშვიდობიანი დილა, ფრთხილად მივაბიჯებ დანამულ ბალახზე, ვგრძნობ სამშობლოს წარმტაც სურნელს და თან ვჩურჩულებ გალაკტიონის სიტყვებს.. „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გაიარე, რაა მამული?!"

აი, ვუახლოვდები კიდეც ტყის პირს. საამური გალობა და შრიალი მესმის. ნელი ნიავი ოდნავ, ნაზად არხევს ფოთლებს და ჩუმი ხმით რაღაცას ჩამჩურჩულებს. ჩანჩქერები ხმაურით გადმოსჩქეფენ, ანკარა ნაკადულები ლამაზად მოწანწკარებენ, ყვავილები, მორცხვად თავდახრილები, საამო სურნელს აფრქვევენ.

მე კი... გაუბედავად ვდგამ ნაბიჯს. ფრთხილად ვეხები ბუჩქებს, ყვავილებს, ციური მხატვრის, ბუნებისმიერ შექმნილ ესკიზზებს. ალტაცებით ვიკრავ თითქოს გულში ამ საოცარ სიმშვენიერეს...

...უცებ უცნაური ხმაური მისწვდა ჩემს სმენას და შიგ გულში ტყვიასავით გამიარა, უკან მოვიხედე და... ცრემლები?!...

მივუახლოვდი, ხელით შევეხე ჩამონათლელ, მგძნობიარე ხეს და ჩემს თითებზე ციცქნა წვეთები შევნიშნე.

ნუთუ ცრემლები?! ბუმბერაზი ხეც ტირის? — გავიფიქრე. არ შევმცდარვარ. ხე ტიროდა...

ჩვენმა კეთილმა დედამიწამ, რომელმაც სიცოცხლე აჩუქა ცამდე ასხლეტილ საუკუნოვან ხეს, რად გააჩინა ქვეყნად ბოროტიც, რად აატირა ბუმბერაზი?! — გამიელვა უნებურად.

სადღაც რაღაც ცხელი ტალღასავით მომაწვა და ჩემს თვალებზეც გაჩნდა ციცქნა წვეთები.. ცრემლები...

მომეჩვენა, თითქოს ყრუდ გმინავდა უმოწყალოდ გაჩეხილი ტყეც... ახლოს ხის რტოებით შენიღბული მძიმე ტრაქტორის რახრახიც მომესმა და ვეცადე გამოვრკვეულიყავ... იღბლად ფიქრის ძაფიც გამიწყდა.

„ცრემლიანი ხე" კი თვალებიდან არ მცილდებოდა, თითქოს ფესვები ჩემს არსებაში გაედგა.

გზა კვლავ გავაგრძელე და რატომღაც ჩემი საყვარელი პოეტის შოთა ნიშნიანიძის სიტყვები მომაგონდა.:

„თაობავ ჩემო, მსხმოიარე
ოქროს ვენახო,
ტყუილუბრალოდ მომავლის
გზებს როდი გავცქერით,
ტკბილად დაბერდი, სხვა ომები
ნუღარ გენახოს,
ეს ომი იყოს პირველიც და
უკანასკნელიც!"

ცრემლები... ცრემლები კი... მხოლოდ სიხარულის დაგვდენოდეს.

**ნათია გურგუჩიანი,**
ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-8 კლასის მოსწავლე.

# შეჯიბრება სათხილამურო სპორტში

მიმდინარე წლის 2-3-4 თებერვალს სოფელ ნასპერში ჩატარდა მოსწავლეთა სარაიონო პირველობა სათხილამურო სპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ უმცროსი და უფროსი ასაკის გოგონები და ვაჟები. ასევე კონკურსგარეშე მონაწილეობდა ნფსს „შევარდენის" ოთხი გუნდი.

პირველად სტარტზე გამოვიდნენ უფროსი ასაკის ვაჟები 5 კილომეტრიან ტრასაზე. კარგი შერჩეული იყო სარბენი ტრასა. მაყურებელს საშუალება ჰქონდა ეყურებინა თითქმის ყველა მონაწილისათვის შეჯიბრების პროცესში, რაც დიდ ინტერესს იწვევდა. პირველი ადგილი მოიპოვა ზუბის საშუალო სკოლის მოსწავლემ როსტომ ჩაკვეტაძემ, მეორე იყო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ირაკლი ირემაძე, ხოლო მესამე ადგილი მოიპოვა დიმიტრი ბაქრაძემ — ლვირიშის კოლმეურნეობის გუნდიდან.

შემდეგ შეჯიბრებაში ჩაებნენ უფროსი ასაკის გოგონები. რბენა 3 კილომეტრზე მოეწყო. აქ თავი გამოიჩინა და დაძაბულ ბრძოლაში პირველობა მოიპოვა იამზე ირემაძემ, მეორე იყო ოლია ახვლედიანი (ორთავე ლვირიშის საშუალო სკოლიდან). ფინიშთან მესამე მივიდა მედეა ახვლედიანი (ლვირიშის საკოლმეურნეო გუნდი).

შემდეგ შეჯიბრებაში ჩაებნენ უმცროსი ასაკის გოგონები და ჭაბუკები. გოგონათა შორის რბენაში 2 კილომეტრზე ძლიერი იყო და მანძილი ყველაზე სწრაფად გაირბინა მანანა ლაკვეხელიანმა (ლვირიშის საშუალო სკოლა), მეორე იყო სოფიკო ვაჩაძე, მესამე მარინე ღურჭუმალიძე (ნასპერის არასრული საშუალო სკოლიდან).

ამავე ასაკის ჭაბუკებს უნდა გაერბინათ 3 კილომეტრიანი ტრასა, მაგრამ იგი გაუარესდა კარგი ამინდის გამო, რადგან თოვლმა დნობა დაიწყო, ახალგაზრდების მონდომებამ თავისი გაიტანა. ფინიშთან პირველი მივიდა მამუკა ლაკვეხელიანი, მას წამებით ჩამორჩა კოტე ღურჭუმალიძე, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა მირზა ლიპარტელიანმა (ლვირიშის საშუალო სკოლა, ნასპერისა და ჩქუმის არასრული საშუალო სკოლები).

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შეჯამდა შედეგები და გამარჯვებულებს გადაეცათ პრიზები და გარდამავალი თასები. ასევე ინდივიდებს სიგელები.

უფროს ასაკში პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა ლვირიშის საშუალო სკოლის გუნდმა, მეორე—ლასურიაშის საშუალო სკოლის, ხოლო მესამე—პროფესიულ -ტექნიკური სასწავლებლის მოთხილამურეთა გუნდებმა.

უმცროს ასაკში გუნდური პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა ნასპერის არასრული საშუალო სკოლის გუნდმა, მეორე—ჩქუმის, მესამე—ლვის არასრული საშუალო სკოლის გუნდებმა.

ასევე გამოვლინდა საკოლმეურნეო გუნდებს შორის გამარჯვებულები. პირველი ადგილი და გარდამავალი პრიზი მოიპოვა ლვირიშის კოლმეურნეობის მოთხილამურეთა გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ნასპერის სოფლის მოთხილამურეთა გუნდი, მესამე ადგილი მოიპოვა ჩხუტელის კოლმეურნეობის მოთხილამურეებმა.

შეჯიბრებას მეტი ინტერესი ექნებოდა, რომ ყველა საშუალო სკოლის გუნდს მიეღო მონაწილეობა. შეჯიბრებას თავი აარიდეს და გუნდები არ გამოაცხადეს ტვიშის, ალპანის, ორბელის, ლაცორიის, ლაილაშის, ოყურეშის საშუალო სკოლის, ლაჯანის სკოლა - ინტერნატის და ზოგიერთი არასრული საშუალო სკოლის ფიზკულტურის კოლექტივებმა.

მადლიერების გრძნობით არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ნასპერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და იქ მცხოვრებნი, რომლებმაც ყველა პირობა შეგვიქმნეს ბავშვების ნორმალური დასვენებისა და შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

**ჯ. შკუბულიანი,**
სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.



ზოგიერთ შვეიცარულ კანტონში ადგილობრივ მცხოვრებთათვის განსაკუთრებით პოპულარული გასართობია ძროხების ბრძოლა, სწორედ ძროხების და არა ხარების. ყოველწლიურად ქვეყანაში ტარდება შეჯიბრებები „სპორტის ამ სახეობაში". ფინალურ შეხვედრამდე ტარდება რამდენიმე შესარჩევი ტური. გამარჯვებული იღებს „ძროხების დედოფლის" ტიტულს და იქცევა ეროვნულ სიამაყედ.

სურათზე: ფინალური ბრძოლა, რომელიც შედგა სოფელ აპროცში. მას ბევრი მაყურებელი ჰყავდა.

კეისტონ-საკდესის ფოტო.

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ცაგერის წიგნის მაღაზიამ ხელმომწერთათვის მიიღო:
**აკაკი წერეთელი, ტომი 3**
**ქართული მწერლობა, ტომი 7**
ხელმომწერლებს ვთხოვთ თებერვლის ბოლომდე გაიტანონ აღნიშნული წიგნები, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტენზიები არ მიიღება

ცაგერის რაიკოოპერატივის გამგეობა.

## გილოცავთ

**მერი გალაქტიონის ასულ ჯიმშელეიშვილს ჯემალ დავითის ძე სალინაძეს**

გილოცავთ პატარა ქეთევანის დაბადებას. გაიზარდოს სასახელო მოქალაქე.

**ცაგერის პროფტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები.**

---

მეუღლე ქენია, შვილები ჯიმშერი, ციალა, რეზო, დები ოლია, ვერიკო, რძლები ვერა ხუხია, ლორეტა, ინეზა, შვილიშვილები ელზა, ირინე, გია, ჟორა, თამაზი, შვილთაშვილისშვილი ნათია, ძმისშვილი ლამარა, დისშვილები ლეილა, ლონდა, სერიოჟა, გივი, ცოლისდები თინა, ცაბო, სიძეები ისმაილ ლეშკაშელი, ბიჭიკო სანთელაძე, თენგიზ შერვაშიძე, ტიტე კაჭარავა, ოთარ დავითულიანი, გურამ ვარამაშვილი, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიგოლ ივანეს-ძე გიორგობიანი**

დაკრძალვა 10 თებერვალს, შაბათს, სოფ. სპათაგორში.

---

დედა ანიჩკა, მეუღლე ვლასი, შვილი ჯონი, რძალი ლეილა ქლიბაძე, შვილიშვილი ბესიკი, ძმა ნოდარ ჭაბუკიანი, მაზლები, მულები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ეთერ დავითის ასული ჭაბუკიანი-სილაგაძე**

დაკრძალვა 10 თებერვალს, შაბათს, სოფ. ლესინდში.

---

მეუღლე ნინა, შვილები ჯუსტანი, ჯონი, რძლები დარეჯან ირემაძე, ნაზი ეზიაშვილი, გოსო გამსახურდია, თამარ ნემსწვერიძე, შვილიშვილები ნინო, ნესტანი, ქეთინო, ნათია, თეონა, ბიძაშვილები უშანგი, გურამ, როინ ნემსწვერიძეები, დისშვილები ზაურ, როინ გაბიძაშვილები, ცოლისძმები გრიშა, ჟორა, ცოლისდები თამარ, ძაძუ ახვლედიანები, ქვისლები აქსენტი მინდაძე, რუბენ კოპალიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გედეონ თეოფანეს ძე ნემსწვერიძე**

დაკრძალვა 11 თებერვალს, კვირას, სოფ. უცხერში.

---

ოთარ ჩიქოვანი, აპოლონ ჭაბუკიანი, გენური, ჯემალ ახვლედიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნინა ასათიანი.**

---

აგრომრეწვბანკის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბონდო ჭაბუკიანს სიძის

**ტიტიკო ალექსანდრეს ძე კირვალიძის**

გარდაცვალების გამო.

---

**რედაქტორი**
**ნ. ნემსაძე.**

---

ცაგერის №2 ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლამარა ჩიქოვანს სიძის

**ჯიმშერ გოდერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ალპანის საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელი

**ნხთელა შალვას ასული ჭეჟინაძე.**

---

რაისაბჭოს აღმასკომის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გრიშა ჩიქოვანს სიძის

**ჯიმშერ გოდერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ნინა და კოლია გიორგობიანები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიგოლ გიორგობიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

№23 საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლონდა ლეშკაშელს ბიძის

**გრიგოლ გიორგობიანის**

გარდაცვალების გამო

---

№23 საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ რობერტ კვირკაშვილს ძმისშვილის

**ლევან კვირკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-2, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23.

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 1 ინდექსი 66539, ტირაჟი 4461

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.